ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N32

ქ.ზუგდიდი **25 დეკემბერი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 25 დეკემბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, ჯონი ჯიქია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი; **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 10 წევრი.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილის განხილვა ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ახალი ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ დ.კ.-ზე გაცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

   თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

3. ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

4. საზოგადოება „ზუგდიდელი"-ს მომართვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ერთერთი უსახელო ქუჩისთვის ბებული ბოკუჩავას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით, რომელიც საერთოა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ქუჩებთან.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 5 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423339108 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233395-25 5.12.2023წ), რომელიც შეეხება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილის განხილვა ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ახალი ქუჩების სახელდებას.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ანაკლიას ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილი, რომელიც მერის მომართვას დანართის სახით თან ერთვოდა: „როგორც მოგეხსნებათ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 7 ივნისის N66 განკარგულების საფუძველზე დამტკიცდა ზუგდიდის მუნიცპალიტეტის სოფ. ანაკლიის საზღვრები და ქუჩები, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღეის მდგომარეობით გამოვლინდა ქუჩის მონაკვეთი, რომელიც არ არის სახელდებული, რის გამოც მიზანშეწონილია მოხდეს ანაკლიის ადმიისტრაცულ ერთეულში მოცემული ქუჩის სახელდება, კერძოდ:

1. მიზანშეწონილად მიმაჩნია განხორციელდეს ზუგდიდის მუნციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში ცოტნე დადიანის ქუჩის I შესახვევის ზუსტი ფორმირება ახალი ქუჩის სახით და გაგრძელდეს ის სოფ. ანაკლიის რევაზ ესართიას ქუჩის გადაკვეთამდე დანართი N1-ის შესაბამისად;

2. მიზანშეწონილად მიმაჩნია განხორცილდეს უსახელო ქუჩის მონაკვეთის ფორმირება დანართი N2-ის შესაბამისად, კერძოდ უსახელო ქუჩის მონაკვეთად განისაზღვროს ანაკლიის ადმინ. ერთეულის შოთა რუსთაველის ქუჩის გადაკვეთა და გაგრძელდეს ის ანაკლიის

ადმინ. ერთეულის ცონე დადიანის ქუჩის გადაკვეთამდე. აქვე მოგახსენებთ, რომ მოცემულ ქუჩის მონაკვეთს გაჩნია ჩიხი, რის გამოც მიზანშეწოილად ჩავთვალე მოცემული უსახელო ქუჩის მონაკვეთის ახალი ქუჩის (I ჩიხით) ფორმირება.

დამატებით გთხოვთ, მოსახლეობის ინტრესების გათვალისწინებით, შესაძლებლობის შემთხვევაში განხილულ იქნეს დანართი N1-ით დასამტკიცებელი ქუჩისთვის ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, პოეტისა და მწერლის ვაჟა-ფშველას ქუჩის სახელწოდების დარქმევა, ხოლო რაც შეეხება დანართი N2- ით დასამტკიცებელი ქუჩისთვის საქართველოს ერვონული გმირის ჟიული შარტავას ქუჩის სახელწოდების დარქმევა.

ყოველი ზემოთხსნებულდან გამომდნარე გთხოვთ დავალოთ შესაბამის სამსახურებს საჭირო პროცდურების გადატარება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანი შენიშვნა ან წინადადება პირველ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: აპარატის უფროსმა აღნიშნა: „სამართლებრივად აუცილებელია ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა რწმუნებულთან ერთად და მათი თანხმობის შემდეგ მოხდება ქუჩის სახელდება.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „კომისიაზე მივიღოთ გადაწყვეტილება კომისიის გასვლის შესახებ და ადგილზე გავარკვიოთ ადგილზე რა ვითარებაა.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ დამატებით განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილის განხილვა ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ახალი ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით“ დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მისი განხილვის გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: საკითხის „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილის განხილვა ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ახალი ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით“ განხილვა **გადაიდოს. კომისია გავიდეს ადგილზე და მოსახლეობასთან კონსულტაციის გავლის შემდეგ მოხდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 6 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423340114 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233406-25 6.12.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ დ.კ.-ზე გაცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი

საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 დეკემბრის N24-2423340114 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხში მდებარე 3,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.09.41.528) გასცეს ფ/პ დ.კ.-ზე (პ/ნ 19001090275) სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 5 (ხუთი) წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანი შენიშვნა ან წინადადება მეორე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „ეს ტერიტორია მდებარეობს რუხში, ე.წ. პოსტთან, სადაც განთავსდება ჩასარიცხი აპარატი და მაცივარი.“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ განაცხადა: „მე არაფერი არ მაქვს ამის საწინააღმდეგო, მაგრამ ერთი რამ გავითვალისწინოთ, ეს ტერიტორია გარე მოვაჭრეების თავშესაყრის ადგილად არ ვაქციოთ.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „შემოვდივარ წინადადებით რომ იჯარის ვადა განისაზღვროს 2 წლით.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „კითხვა მექნება ბატონო ლაშა, მსგავს რაღაცეებზე ჩემი პოზიცია იცით, ბევრზე ხმა არ მიმიცია. ამ ნებართვებს რომ გავცემთ, 2კვ.მ, 3 კვ.მ ამის მერე მონიტორინგი ხდება რეალურად იქ ჩასარიცხი აპარატი უდგას თუ სხვა რაღაცა?“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „აუცილებლად მონიტორინგი ხდება, ჩვენ პერიოდულად ზედამხედველობის სამსახურს წერილობით ვატყობინებთ რომ გადაამოწმოს არსებული ვითარება და ეს წელიწადში ხდება ორ-სამჯერ.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „კიდევ ერთი კითხვა, იდეაში არის ბულვარის გაგრძელების პროექტი, მეორე სკოლის მიმდებარედ და ბაზრის წინ უმრავლესობის გადაწყვეტილებით „თეთრი ბელს“ მიეცა ნებართვა იქ ნაყინის ჯიხურის დადგმის. ახლა რეაბილიტაციის თემა რომ იგეგმება იქ როგორ მოხდება ამ საკითხის მოგვარება?“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „ხელშეკრულებაში არის შესაბამისი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ერთი თვით ადრე გაფრთხილებას აღნიშნული სიტუაციის შემთხვევაში და შესაბამისად მოუძებნით ალტერნატიულ ადგილს.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ დამატებით განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ დ.კ.-ზე გაცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ **2 წლის ვადით** დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 1 -დავით ფიფია

გადაწყვიტეს: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ დ.კ.-ზე გაცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წარმოდგენილ განკარგულების პროექტში მოხდეს

ცვლილება, იჯარის ვადად განისაზღვროს **2 წელი** და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 13 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242334719 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233471-25 13.12.2023 წ), რომელიც შეეხება ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ლაშა ადეიშვილს კომისიის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია (ჩაშლილად) საპრივატიზებო ნუსხაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „დამტკიცებული ნუსხისა და გეგმის ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული აუქციონიები და პრივატიზებულ იქნა ნუსხასა და გეგმაში აღნიშნული შემდეგი ქონებები:

პოზიცია 12. ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N95/მარცხენა სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 1675 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (1675 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 265.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი დატვირთულია სერვიტუტის უფლებით) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1; საკადასტრო კოდი: 43.31.49.584;

პოზიცია 21. ავტოსატრანსპორტო საშუალება. LEXUS GX470; გამოშვების წელი. 2008წ; საიდენტიფიკაციო ნომერი: JTJBT20X890174112 სახ.ნომერი - VV080VA;

დამტკიცებული ნუსხისა და გეგმის ფარგლებში მე-4, მე-5, მე-6 პოზიციით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების პრივატიზება ვერ მოხერხდა (მე-4 პოზიცია BOGDAN; სახ. ნომრით HH357HN; მე-5 პოზიცია BOGDAN; სახ. ნომრით HH178HN; მე-6 პოზიცია BOGDAN; სახ. ნომრით HH175HN;), შესაბამისად ამ ეტაპზე მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ამოღებულ იქნას საპრივატიზებო ნუსხიდან და გეგმიდან მითითებული მოძრავი ქონებები.

ასევე მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საპრივატიზებო ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას ქ. ზუგდიდში გორის ქუჩა N2-ში მდებარე 30.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მე-11 პოზიცია), რადგან ქონება უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპრივატიზებოდ გატანილ იქნას შემდეგი უძრავი ქონებები და შევიდეს შესაბამისი ცვლილება ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში" (იხ.დანართი: საპრივატიზებო ნუსხისა და გეგმის N17;) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 ნოემბრის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი N26) გამოთქმულ შენიშვნათა გათვალისწინებით.

ასევე მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით მიიღო გადაწყვეტილება საპრივატიზაციო ნუსხასა და გეგმაში შეტანილ იქნეს უძრავი ქონებები (იხ.დანართი: საპრივატიზებო ნუსხისა და გეგმის N18; N19; N20;)

პოზიცია 17. ზუგდიდი, სოფ. ახალსოფელში მდებარე 2222.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 43.11.47.081) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (შენობა-ნაგებობა N1 – 149.86 კვ.მ; და N2 58.27 კვ.მ) (უპირობო აუქციონის წესით პრივატიზება).

პოზიცია 18. ქ. ზუგდიდი, ჩიქოვანის ქუჩა N40-ში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 43.31.42.598) (უპირობო აუქციონის წესით პრივატიზება).

პოზიცია 19. ქ. ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე 100.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 43.31.49.663) (უპირობო აუქციონის წესით პრივატიზება).

პოზიცია 20. ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 970.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 43.31.73.321) (უპირობო აუქციონის წესით პრივატიზება).

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მესამე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „რას გეგმავთ იმ BOGDAN –ის ავტობუსებთან დაკავშირებით, რომლებიც ნუსხიდან ამოგაქვთ?“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განცხადა: „სავარაუდოდ ჯართად გავყიდით, თუმცა საბოლოოდ ჯერ არ არის გადაწყვეტილი.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „გორის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით განგვიმარტეთ მისი ნუსხიდან ამოღების აუცილებლობა.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „გორის ქუჩაზე მდებარე 30 კვ.მ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მერიამ მიიღო გადაწყვეტილება ნუსხიდან მისი ამოტანის, რადგან ის ფაქტობრივად იქ არსებული სკვერის ნაწილია და ესაზღვრება რეკრეაციულ ზონას.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „რამდენია ახალსოფელში არსებული მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი?“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „ახალსოფელში მდებარე 2222 კვ.მ მიწის ნაკვეთის საწყისი ფასია 42 000(ორმოცდაორიათასილარი) ლარი.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი კონკრეტულად რომელი ტერიტორიაა“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „ეს არის სამედიცინო ცენტრი „სანუსი“-ს და მაღაზია “სპარი“-ს მიმდებარე ტერიტორიაა. არის კონკრეტული დაინტერესებული პირი, რომელსაც უნდა ამ ტერიტორიის ყიდვა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „თუ გაქვთ ინფორმაცია რის აშენებას აპირებ ეს პირი ამ ტერიტორიაზე.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „კონკრეტულად თუ რის აშენებას აპირებს ამის შესახებ არ ვფლობ ინფორმაციას.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „აღნიშნულ ტერიტორიაზე 100 კვ.მ მიწის ნაკვეთს რომ ვყიდით ხომ უნდა ვიცოდეთ რას აშენებს მყიდველი.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „მიწის ნაკვეთის ყიდვის შემდეგ შეთანხმებაზე უნდა შემოვიდეს მერიაში და ა.შ. რასაც თავისი პროცედურები აქვს.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „როგორც გავიგე პიროვნება, რომელიც ამ 100 კვ.მ მიწის ნაკვეთის ყიდვას აპირებს, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში სარგებლობს ნებართვის გარეშე, კანონდარღვევით. რამდენად გაგვაქვს ეს მიწის ნაკვეთი პრივატიზებაზე.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „აუდიტმა შეაფასა 10 000(ათიათასილარი) ლარად, მაგრამ ჩვენ შეგვეძლია თანხის მომატება და საწყისი საპრივატიზებო თანხა 15 000(თხუთმეტიათასილარი) ლარი დავადგინეთ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი კორტავამ აღნიშნა: „როგორც ვიცი ამ ტერიტორიაზე არსებული ნაგებობები იმ პიროვნების საკუთრებაა, ვინც ამ მიწის ნაკვეთის ყიდვას აპირებს. სხვამ ვინმემ რომ მოინდომოს ყიდვა შესასვლელი არ ექნება ტერიტორიაზე. აუდიტორული შეფასების დროს, ფასის დადგენისას ეს ფაქტიც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. თუ კონკრეტულად ის პიროვნება ყიდულობს ამ ტერიტორიას, მაშინ ფასი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „15 000(თხუთმეტიათასილარი) ლარად გაყიდვა ეს ფაქტიურად ჩუქების ტოლფასია."

კომისიის მიმდინარეობისას ეკრანზე გამოტანილი იყო კონკრეტული ობიექტის ორთოფოტო.

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მომავლისთვის გაითვალისწინეთ რომ საპრივატიზებო ნუსხაში შესატანი ობიექტების ფოტომასალაც იყოს წარმოდგენილი უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, რადგან ეკრანზე წარმოდგენილი ორთოფოტო არ იძლევა სრულ სურათს თუ სად არის კონკრეტული ადგილი."

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ აღნიშნა: „ქალაქის ცენტრში 100 კვ.მ მიწის ნაკვეთი 15 000(თხუთმეტიათასილარი) ლარად რომ იყიდება საერთოდ ამოსაღებია საპრივატიზებო ნუსხიდან, რადგან ამასა საერთოდ არ სჭირდება არანაირი სურათი და ფოტომასალა."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „რაც შეეხება ნუსხაში შესატან ობიექტს, რომელიც გამსახურდიას ქუჩაზე მდებარეობს, ეს ის ტერიტორიაა რომელზეც ერთხელ უარი ვთქვით პრივატიზებაზე?"

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „დიახ, ეს ის ტერიტორიაა, რომელზეც ბატონი თაზო ფაცაცია რეკრეაციული ზონის მოწყობაზე საუბრობდა. ჩვენ განვიხილეთ ეს საკითხი, მაგრამ იქ შეუძლებელია სკვერის მოწყობა, რადგან ეს ბიზნეს ადგილია. ამ ტერიტორიის გვერდზე „ვისოლს" აქვს ნაყიდი მიწის ნაკვეთი, სადაც მომავალში უნდა აშენდეს ბენზინგასამართი სადგური."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „რამდენად კვ.მეტრია აღნიშნული მიწის ნაკვეთი."

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „ეს არის 970 კვ.მ მიწის ნაკვეთი და საწყისი საპრივატიზებო ფასი არის 80 000(ოთხმოციათასილარი) ლარი."

აზრი გამოთქვეს: გიორგი კორტავამ აღნიშნა: „ამ ტერიტორიის ფასი ნორმალურია განსხვავებით ქალაქის ცენტრში არსებული მიწის ნაკვეთისგან."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „საპრივატიზებო ნუსხას, ცვლილებებს, რაზეც ჩვენ თანხმობები მივეცით და მაგალითად საწყისი თანხა იყო 100 000(ასიათასილარი) ლარი, რამდენი ფაქტი გქონიათ ისეთი, რომ ფასის შემცირება მოგიწიათ, იმიტომ რომ ვერ გაიყიდა და შემცირებულზე გაიყიდა."

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „ამ თანამდებობაზე ჩემი ყოფნის პერიოდში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ დამატებით განსხვავებული წინადადებები, შენიშვნები არ გამოთქმულა და განკარგულების პროექტი ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 10

გადაწყვიტეს: ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო

ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” განკარგულების პროექტი **ჩაითვალოს მიუღებლად** და არ იქნას გატანილი საკრებულოს სხდომაზე კორექტირების გარეშე.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 12 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია საზოგადოება „ზუგდიდელი“ განცხადება (რეგისტრაციის N10/2523482-25 14.12.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ერთერთი უსახელო ქუჩისთვის ბებული ბოკუჩავას სახელის მინიჭებას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანი შენიშვნა ან წინადადება მეოთხე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: გიორგი კორტავამ აღნიშნა: „წარმოდგენილ განცხადებაში კონკრეტულ ქუჩაზეა საუბარი?“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „არა, აქ ქალაქიც არ არის მითითებული, ზოგადად აღნიშნულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტი. მსგავს შემთხვევებში ხომ არ ჯობია თვითონ შემოგვთავაზონ რაღაც ვარიანტები.

ერთ რაღაცაზე შევთანხმდეთ ამ სახელდებებზე, მე არავის ღვაწლს არ ვაკნინებ ქალაქის წინაშე, მაგრამ მსგავს წინადადებას თუ შემოიტანენ მოვთხოვოთ, როგორც პეტიცია შემოაქვთ და ხელმოწერებს აგროვებენ, ასევე შეარჩიონ თვითონ, მოსახლეობასთან შეთანხმდნენ (ხელმოწერებით) და თუ ამის შეტანა საჭიროა რეგლამენტში, მოვახდინოთ ცვლილება.“

აზრი გამოთქვეს: აპარატის უფროსმა აღნიშნა: „საკრებულოს მიერ 2018 წელს მიღებულ N27 განკარგულებაში „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ კონკრეტულად არის მოცემული თუ ვის შეუძლია ინიციატივის წარდგენა სახელდების შეცვლაზე და ასევე რა დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი, მათ შორის ერთერთი არის კონკრეტული ქუჩის მოსახლეობის 70% -ის თანხმობა სახელწოდების ცვლილებაზე.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ დამატებით განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და „საზოგადოება „ზუგდიდელი“-ს მომართვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ერთერთი უსახელო ქუჩისთვის ბებული ბოკუჩავას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით“ **დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მისი განხილვის გადადების მიზნით.**

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: საკითხის „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილის განხილვა ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ახალი ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით“ **განხილვა გადაიდოს. (განხილვა განახლდეს უსახელო ქუჩის წარმოდგენის შემდეგ).**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეხუთე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 18 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423352111 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233525-25 18.12.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის ქუჩების სახელდებას, რომელიც საერთოა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ქუჩებთან.

აზრი გამოთქვეს: ნატალია პაპასკირმა განმარტა: „ქალაქიდან რაც შედის რუხში იმ ქუჩების სახელდება ხდება იგივე სახელწოდებით. თუმცა რუხში რჩება კიდევ უსახელო ქუჩები და მათი სახელდებაც უნდა მოხდეს მომავალში, თუმცა მერიიდან შემოსულ მომართვას არ ერთვის განკარგულების პროექტი და შესაბამისი ორთოფოტოები. ჩემი წინადადებაა კომისიამ გადაწყვეტილება მიიღოს მერიის მხრიდან სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ დამატებით განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით, რომელიც საერთოა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ქუჩებთან“ გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია